



გურიის ტექნოლოგიური ბანაკის წარმომადგენლებმა ურეკში პრეზენტაციები წარმოადგინეს



გურიის ტექნოლოგიური ბანაკის წარმომადგენლებმა ურეკში პრეზენტაციები წარმოადგინეს. 5 დღის განმავლობაში მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ გურიის რეგიონში არსებულ სხვადასხვა ურბანულ/სასოფლო პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა ტექნოლოგიური ან ინოვაციური გზით არის შესაძლებ-

ელი. ღონისძიებას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. ბანაკში მონაწილეობას იღებდნენ გურიის რეგიონში მცხოვრები 15-19 წლის მოსწავლეები.



ა ლ ი ო ნ ი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოსვლის 1931 წლის 5 იანვრიდან

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .
 ყოველკვირეული გამოშვება. № 30 (10441) 21 ნოემბერი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდასაჭერად

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი ნათია კოპალიანი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დევნილებს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს აფხაზეთის მთავრობის, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს სოციალური მხარდაჭერის პროგრამები და მათი საჭიროების მქონე დევნილთათვის ხელმისაწვ-

დობობა, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამები და გურიის რეგიონისათვის გამიზნული საგრანტო პროექტები.

შეხვედრას ესწრებოდნენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი მოადგილე მაია კუტუბიძე, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ ღუმბაძე, გურიის რეგიონის კურატორი ლაშა გადილია და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

შეხვედრის ბოლოს ნათია კოპალიანმა დევნილებს საჩუქრები გადასცა.



გურიაში უწყვეტი წყალმომარაგებისთვის 125 მილიონ ლარამდე ღირებულების პროექტები სორცხელდება



გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ურუშაძემ სამხარეო ადმინისტრაციაში საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორთან ალექსანდრე თევდორაძესთან და კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა, სადაც რეგიონში წყლის სისტემის მოწყობის საპროექტო-სამშენებლო საკითხებზე იმსჯელეს. ასევე, ადგილზე გაეცნენ მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს.

გურიის სამივე მუნიციპალიტეტში აქტიურ ფაზაშია წყალმომარაგებისთვის საჭირო ქსელის მოწყობის სამუშაოები და მისი დასრულების შემდეგ 35000-მდე ბენეფიციარს გაუუმჯობესდება წყლის მიწოდება.

გურიის რეგიონის-თხის თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, 125 მილიონ ლარამდე სახელმწიფო აიუჯამტიდან გაიყოფა.

ოზურგეთში ახალი პროექტის „ოზურგეთის ახალი სიცოცხლე“ განხორციელება იწყება

ოზურგეთში ახალი პროექტის – „ოზურგეთის ახალი სიცოცხლე“ განხორციელება იწყება, რომელიც ინფრასტრუქტურული განახლების პროცესში წარმატებული სტუდენტების ჩართულობას გულისხმობს.

ამ მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

„ვიწყებთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის - „ოზურგეთის ახალი სიცოცხლე“ განხორციელებას, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქ-

ტურული განახლების პროცესში ახალი თაობის არქიტექტორების, ურბანისტების და დიზაინერების ჩართვას გულისხმობს.

მოხარული ვარ, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ხელი მოეწერეთ მემორანდუმს, რომლის ფარგლებშიც მოხდება არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის წარმატებული სტუდენტების ჩართულობა ახალი პროექტების განხილვის და შემუშავების პროცესში,“ – აღნიშნა, ოზურგეთის მერმა, ავთანდილ თალაკვაძემ.



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთორ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საჯალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია
«ალიონით»

სატყეო სექტორის რეფორმის მხარდასაჭერად



სატყეო სექტორის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის „ECO-Georgia-ს“ ფარგლებში ჩონატაურის მუნიციპალიტეტში სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ მერიის პირველი მოადგილე **მაია კუტუბიძე**, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ზაალ მამალაძე**, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლები და ექსპერტები. მხარეებმა განიხილეს მუნიციპალიტეტის ინტერესები და შესაძლებლობები ტყის მართვის მიმართულებით და ხაზი გაუსვეს მონაწილეობრივი მიდგომის მნიშვნელობას ტყეების მართვის პროცესში. მონაწილე მუნიციპალიტეტების ინტერესებისა და მათი შესაძლებლობების შესწავლის მიზნით, შეირჩა კომპანია Georgia's Environmental Outlook – GEO, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს ტყის მართვის პროცესში ჩართულობის გაზრდისა და გაუმჯობესებისთვის. პროექტი „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა - ECO-Georgia“ თანადაფინანსებულია კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) და საქართველოს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობების მიერ და ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მასში შემავალი უწყებების ერთობლივი ძალისხმევით.

„ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სტუმართმასპინძლობის სფეროში“



საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩონატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა ტრენინგი ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული ადგილობრივი კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. ტრენინგი სახელწოდებით „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სტუმართმასპინძლობის სფეროში“ შეეხებოდა შიდა ტურიზმის ხელშეწყობასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, კერძოდ, შრომის უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის სწავლების თემატიკას.

თაყაიშვილის ქუჩის მცხოვრებლები ქუჩაზე სიჩქარის შემოღებას ითხოვენ

ალიონი. 14 ნოემბერს, დაახლოებით 18 საათზე, ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩაზე მსუბუქი ავტომანქანა დაახლოებით 69 წლის ქალს ნ. ჩ-ს ქუჩაში გადასვლის დროს დაეჯახა. იგი მრავლობითი მოტეხილობით ჯერ „მედალფას“ კლინიკაში, შემდეგ ქ. ბათუმში რეფერალურ კლინიკაში გადაიყვანეს. მას რთული ოპერაცია გაუკეთეს. კონკრეტულ შემთხვევაში სისწრაფის გადაჭარბება არ სახელდება, მაგრამ შემთხვევის ადგილას მისული მოქალაქეები, თავიანთ გულისწრობას გამოხატავენ თაყაიშვილის ქუჩაზე მძღოლების გადაჭარბებული სისწრაფით მოძრაობის გამო. — მიემართეთ შესაბამის ორგანოებს, რომ ქუჩის გარკვეულ მონაკვეთზე დაწოლილი პატრული მოეწყოს, მაგრამ უარი გვითხრეს, სკოლა ან საბავშვო ბაღი თქვენს ქუჩაზე არ არის ამიტომ ვერ მოვაწყობთო, — გვითხრა ნ. ჩ-მ. — არ აწყობთ, პატრული ჯარიმების გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს აქ, ამ ქუჩაზე, ავსებს. ვიდეოვალი მაინც დააყენონ, რომ ნახონ როგორ დაჯირობენ მსუბუქი ავტომობილების მძღოლები ჩვენს ქუჩაზე. — უფრო რადიკალური იყო მეორე მოქალაქე. მესამის (ქალბატონი) თქმით, გახშირდა ავტოსაგზაო შემთხვევები, როცა მსხვერპლი ქვეითათ მისი არულეა. 13 ნოემბერს სოფელ ოზურგეთში 70 წლის ქალს დაეჯახა ავტომანქანა და მოკლა... თაყაიშვილის ქუჩის მცხოვრებლები აღნიშნულ თემაზე კვლავ აპირებენ ხელისუფლებას მიმართონ.

ოზურგეთში მალაზონიას და ბაქრაძის ქუჩების რეაბილიტაციაზე 1 150 000 ლარი დაიხარჯება



ქ. ოზურგეთში მალაზონიასა და ბაქრაძის ქუჩებზე გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს — საგზაო სამუშაოები ოზურგეთის მერმა **ავთანდილ თალაკვაძემ**, მოადგილესთან, **ნიკა ბოლქვაძესთან** ერთად დაათვალიერა. — „როგორც დავიბრძოლე ჩვენს თანამოქალაქეებს, ქალაქ ოზურგეთში, მალაზონიასა და ბაქრაძის ქუჩებზე გზის რეაბილიტაციას ვაკეთებთ. პროექტს, რეგონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად ვახორციელებთ და მისი ბიუჯეტი 1 150 000 ლარს შეადგენს. ოზურგეთის სახელით, მადლობას ვუხდით საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მთავრობას ჩვენი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერისთვის!“ — აღნიშნა, ოზურგეთის მერმა, ავთანდილ თალაკვაძემ.

თამარის ციხესთან რკინაბეტონის საფარი დაიგო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რთული საგზაო მონაკვეთების განახლება და შეკეთება აქტიურ ფაზაშია. სოფელ ლიხაურში, ვაშტილის უბანში, თამარის ციხესთან მისასვლელ გზაზე 150 მეტრი სიგრძის რკინაბეტონის საფარის დაიგო. სამუშაო პროცესს ადგილზე ოზურგეთის მერიის მოადგილეები — **გიორგი ლურჯუშელიძე** და **ნათია გოლიაძე** გაეცნენ.



ოზურგეთში საამაჟლო ოფისი დაღუპულ ბიერთა მემორიალის განახლება-რესტავრაცია მოხდება

სოფელ მაკანეთში სამამულო ომში დაღუპულ ბიერთა მემორიალური დაფის განახლება მიმდინარეობს - სამუშაოებს ოზურგეთის მერიის პირველი მოადგილე, **გიორგი ლურჯუშელიძე** ადგილზე გაეცნო. მემორიალების განახლება - რესტავრირება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ეტაპობრივად მოხდება.



მძღოლისათვის მორიგი წარმატება

12 ნოემბერს ქ. თბილისის მძღოლისათვის სასახლემ (2008 – 2009 წწ დაბადებულთა შორის) მძღოლისათვის თბილისის ღია ანაღვარულ ჩემპიონატს უმახინძლა. ბრინჯაოს მოპოვება **სერგო კვანჭიანმა**, ირაკლი მეჭეპიშვილმა, ლიზილომაძემ, ეკატერინა მუსყვიანმა 400*300*200*100 შერეულ ანათობრენში შეძლეს. გუნდი შეჯიბრებისთვის **მარინე კოტირაძემ** მოაწვია. შეჯიბრზე, სიგრძეზე ხტომაში კარგად იასპარეზა პატარა მძღოლისანამ **ბექა მჭედლიშვილი**. ასევე **ქეთი თევზაძემ**, მან (კონკურსის გარეშე) თავისი შედეგები გააუმჯობესა 60 და 200 მ დისტანციებზე.

პროკურატურამ დააგეგმა გომისმთაზე, სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითურად დაუფლების კიდევ ექვსი ფაქტი დაგეგმილია



საქართველოს პროკურატურამ დააგეგმა გომისმთაზე, სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითურად დაუფლების კიდევ ექვსი ფაქტი გამოავლინა. თაღლითობის და ცალბედი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოცემის ფაქტზე ბრალდება 6 პირს წარედგინა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წელს, ბრალდებულმა მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის

ფარგლებში, საჯარო რეგისტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინეს ცალბედი დოკუმენტები მასზე, რომ თითქოსდა 2007 წლამდე დაბა გომისმთაში თვითნებურად ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს.

აღნიშნულის საფუძველზე, ბრალდებულები თაღლითურად დაუფლდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთაში მდებარე ექვს მიწის ნაკვეთს, რითაც სახელმწიფოს 166 209 ლარის ზანი მიაყენეს.

მათ ბრალდება სისხლის სამართლის

კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით) და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ცალბედი დოკუმენტის დამზადება და გამოცემა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარედგინათ.

ექვსეუ ბრალდებულმა ითანამშრომლა გამოძიებასთან და აღიარა ჩადენილი დანაშაული. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, მათ ჩამოერთვათ თაღლითურად დაუფლებული მიწის ნაკვეთები, რომელიც დაუბრუნდა სახელმწიფოს.

საქართველოს პროკურატურა აქტიურად აგრძელებს გამოძიებას, როგორც დაბა გომისმთაში, ასევე დაბა ბახმაროში ანალოგიური დანაშაულის ჩადენი პირების გამოვლენის და შილების მიზნით.

დღემდე, დაბა გომისმთაში და დაბა ბახმაროში სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითურად დაუფლების ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია 44 პირის მიმართ და სახელმწიფოს 1 286 250 ლარის ღირებულების უძრავი ქონება დაუბრუნდა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის წარმომადგენელი სოფელ მე-რიამში, გრიგოლ კოსტავა, ქრთამის ალბის ფაქტზე დააკავეს



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი სოფელ მე-რიამში, გრიგოლ კოსტავა, ქრთამის ალბის ფაქტზე დააკავეს.

გრიგოლ კოსტავამ მოქალაქეს ცალბედი საბუთის სანაცვლოდ ხუთასი ლარი გამოართვა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 10 კუბური მეტრი სამერქნე მასალის ადგილწარმოშობის ცალბედი ცნობის გაცემის სანაცვლოდ, გ. კ-მ მოქალაქეს ქრთამის სახით მო-

სთხოვა და გამოართვა 500 ლარი. გამოძიება მიმდინარეობს ქრთამის ალბის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

წარმატების გასაღები და გზა, გაღებულ კარს მიღმა არსებული



ბევრი საინტერესო ფორმატის მოფიქრება და შეთავაზება შეიძლება დაინტერესებული ჯგუფისთვის, ცოდნის და გამოცდილების მისაღებად. მათ შორის ტრენინგები, თუნდაც დახურულ სივრცეში. გამოცდილ ტრენინგებში, ან მეწარმეთა თანამონაწილეობით.

გადავწყვიტე, განსხვავებული ფორმატი შემთავაზებინა ჩემი გოგონებისთვის და ვფიქრობ, გაამართლა – აღნიშნა ჩვენთან საუბარში „გურიის განვითარების კავშირის“ და მიმდინარე პროექტის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა თამარ კუპრაძემ.

პროექტს ახორციელებს „გურიის განვითარების კავშირი“, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) ის პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით; საქართველოს კლიმატის პროგრამა (GEO-CAP): სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაში“.

პროექტის მიზანი: სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგონების ცნობიერების ამაღლება შინა მეურნეობებში, ბუნებრივი რესურსების მართვის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებზე და სოციალურ მათი საზოგადოებრივი და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების ხელშეწყობა.

ადგილზე განხორციელებული ღონისძიებისა და მასტერკლასის

შემდეგ, პროექტის მონაწილე ქალბატონები ოზურგეთის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებიდან, აჭარას ესტუმრნენ.

გზა, შავშეთისა და მესხეთის ქედებს შორის მომდინარე აჭარის-წყლის ულამაზეს ხეობას მიუყვება.

მოლოდინი, რა თქმა უნდა დიდია, ლამაზი და საინტერესო დღისა და ეს ყველაფერი მასხრის ჩანჩქერით დაიწყო. შემოდგომის სუსხიანი დილით, მზის სხივებსა და ჩანჩქერის შხუვებში ჩახატული ცისარტყელათი.

ეს ღირებული გადახვევაა და უკვე საქმიანი შეხვედრების დასაწყისი.

სამუშაო დღის წესრიგი, ოთხი ბიზნეს ობიექტის ნახვას ითვალისწინებდა. მეგზური ჯანო თებიძე გახლდათ, ქედა ლავის მმართველთა საბჭოს წევრი. ოთხივე პროექტი მათივე თანადაფინანსებით განხორციელდა, განვითარდა და უფრო მიმზიდველი გახდა.

პირველი შეხვედრა: ქედის მუნიციპალიტეტის, პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული. „ფუტკრის საფარო“, თურმანიძეების ოჯახში. აქ, მართლაც მშვენიერი საფაროა მოწყობილი, სადაც, ფუტკარი თავად ხდება გზამკვლევი ადამიანსა და ბუნებას შორის. სადაც, პირველი მეორეთი არსებობს და მეორე, პირველისგანა ფასდადებული. მეფუტკრემ, რევაზმა და მისმა მეუღლემ ლამზირა ბეჟანიძემ, წლებით ნავროვები გამოცდილებები გაუზიარა ამ ბიზნესით დაინტერესებულ ქალბა-

ტონებს. ესაუბრა იმ რისკებსა და გამოწვევებს, რაც ამ დარგისთვისაა მახასიათებელი. გაიცვალა მოსაზრებებიც.

მეორე ბიზნეს ობიექტი. შპს „ფორჯი“. სალიფსიტე, საკალმახე მეურნეობა. მენეჯერი სოფო დიასამიძე. ახალგაზრდა ბიზნესმენმა, დარგის სიყვარული მამისგან შემკვიდრებით მიიღო. დასახლებული პუნქტიდან, საკმაოდ მოშორებით მდებარე უფუნქციო და გაუმართავი ნაგებობა იჯარით აიღო და განავითარა. ლიფსიტეების გამოყვანაზე, მხოლოდ ქალები ჰყავს დასაქმებული. ვიზიტორებმა, განაყოფიერებული ქვირითიდან, უკვე ზრდასრულ კალმახამდე გასავლელი ყველა გზა, თავად ნახეს და მენეჯერისგან ბევრი საინტერესო მოსაზრებაც მოისმინეს.

სასტუმრო „პილდინი“; მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. დანდალოში; ხელმძღვანელები მია ვერბაძე და დავით არბენაძე.

როცა პროექტი წარმოადგინეს და ადგილიც ვეაჩვენეს, სადაც ბიზნეს იდეა უნდა განხორციელდებოდა, თავდაპირველად, სურვილად ვერც აღვიქვით. იდეა განხორციელებლად ჩავთვალეთ. გავრისკეთ და წილობრივად დავაფინანსეთ. ახლა თავად ხედავთ რაც არის – გვითხრა ჩვენმა მეგზურმა ბატონმა ჯანომ.

სანახავი მართლაც კარგია. მთის დაქანებული ფერდობი, რთული რელიეფი გარეთ, მკაცრი ბუნება, გაუთვალავ-გაურანდავი და მასთან კარგად შეხამებული, სოკოებივით, აქა-იქ ამოსული პატარა, მრგვალი სახლები; ხეებს შემოხვეული კოტეჯები, ორთავე საკმაოდ კარგი კომფორტით.

იქვე, მისასვლელთან, ძველ სახლში მოგიზიადებენ უძველეს ბუნებრივ მირთმეული ყავა, და ბიზნეს იდეათა განხორციელების გზებზე საუბარი, აქაც გამოცდილებების გაზიარება. აქ არ იყო მასპინძლობა ბიზნესისთვის. აქ, არის ჩვენი ქვეყნისთვის, ამ შემთხვევაში, აჭარისთვის მახასიათებელი გულთბილი მიღება სტუმრისა, და სტუმართაგან, მასპინძლობის ასე გათავისებისა, რომ სტუმრად მისული, უკვე შინაურად გრძნობ თავს. რაც ბუნების სითბოსთან ერთად, განსაკუთრებულ ხიბლს და არომატს

აძლევს, ფინჯან ყავას, ან თუნდაც მთის ცივი წყაროს წყალს, „გულკეთილად“ მოწოდებულს.

„შატო ივერი“, სასტუმრო სოფელ ვარჯანისში. მასპინძელი მარინა გორგოლაძე და როსტომ ბერიძე.

სოფლის ულამაზეს ხედებს, ასევე ლამაზი არქიტექტურით შერწყმია მშვენიერი კომპლექსი: სასტუმრო, რესტორანი, მარანი, ვაზის პლანტაცია.

– ეს, ჩვენი ოჯახური ბიზნესია, მეუღლე და ორი შვილი აქვია დასაქმებული. ჩვენთან შეგიძლიათ დააგემოვნოთ რქაწითელი, საფერავი, ქინძმარაული, ცოლიკაური, ჩხავერი, ალადასტური; მასპინძლობა კარგად გამოგვდის, მთავარია კარგი გარემო,

ხელმძღვანელის მისამართით. თამარ კუპრაძის, დასმულ კითხვას, დილით - მოლოდინების, და საღამოს – შთაბეჭდილებების შესახებ, ემოციური გამოხმაურებები მოჰყვა. ყველას თავისი სათქმელი ჰქონდა, ყველას თავისი იდეა ელამაზებოდა. ცალკეული რეპლიკებიდან, რეალობასთან შეთავსებით, შინაარსს, მაინც ასე მოვეყვებით. – ცივი დილის მიუხედავად, საინტერესო დღეს ნამდვილად ველოდით, მაგრამ დღევანდელმა დღემ, მთლიანად ჩაგვივლია და გარკვეულწილად დაგვანახა, სად შეიძლება იპოვო წარმატების გასაღები, მერე როგორ გააღო კარი. როგორ დაიშვებოდნენ



ჯანსაღი საკვები და გულითადი დახვედრა;

სანამ ქალბატონი ლამზირა უცხოელი სტუმრების გამასპინძლებებისთვის ზრუნავდა, ბატონი როსტომი სტუმრებს მარანში შეუძღვა და ჩხავერებს დააგემოვნებინა.

– სასმისში ღვინო არ უნდა ჩარჩეს, რადგან თითოეულ წვეთს, ჩვენთვის სხვა ფასი და ღირებულება აქვს. მოაყოლა მასპინძელმა დიმილით.

ღიმილი და სითბო გამოყვა პროექტის მონაწილე ქალბატონებს აჭარიდან. რადგან იციან, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ, დიდი მთლიანობას, თითოეული, ლამაზი კუთხე უშტკიცებს ბალავარსაც და ბჭესაც.

ახალი შთაბეჭდილებებით დაუყვანენ გზას ბარისკენ. მაღლიერებას ვეღარ მალავდნენ პროექტის

თავი და დაამკვიდრო ფიქრებში ჩახატული შენი იდეა, რომელიც, ჯერ კიდევ ვერ გამოიყვანე სამზეოზე, ან კიდევ მეტად გინდა მისი განვითარება. მერე, საკუთარ თავს უპასუხო კითხვებზე, რა არის იდეის არსი, სხვისგან განსხვავებული, ან სხვათათვის ასე მისაღები და შენ, ეს ყველაფერი კარგად გამოვივიდა?

6160 ნიპოლაიშვილი

სტატია მომზადდა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) ის პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით; საქართველოს კლიმატის პროგრამა (GEO-CAP): სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაში“.

ბეჟან ნაკაიძე - 100

განუგებოებული ხელმძღვანელი და უგებოებული



ბეჟან ნაკაიძე

საქ. დამსახურებული არტისტი

„50 წელზე ცოტა მეტი იცოცხლა და როგორ მოასწრო ვეღაფერი, იყო ენერგიული და ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე, მრავალი დიდი და კარგი საქმის ინიციატორი და ხელმძღვანელი, კარგი მეუღლე და მამა ვაჟიშვილებისა, გულითადი მეგობარი და ერთგული თანამოსაქმე კოლეგებისა“ - წერდა ანა ანდლულაძე, საქართველოს დამსახურებული არტისტი.

ბეჟან ნაკაიძის შესახებ მწირი მასალებია შემორჩენილი, მათი გაცნობაც კი საკმარისა თვალწინ წარმოგიდგეთ კაცური კაცი და ნიჭიერი შემოქმედი. თანამედროვეთა მოგონებები კი ფერად შტრიხებს ამატებენ მის სახეს და უნებლით გული გწყდება, რომ არ მოგეცა საშუალება მასთან ურთიერთობის, მასთან მუშაობის.

ბატონმა ბეჟანმა თავისი ცხოვრება ოზურგეთის თეატრს ახალგაზრდობიდანვე დაუკავშირა. ოზურგეთში, პირველი საშუალო სკოლა 1939 წელს დაამთავრა, ხოლო უკვე 1941 წელს, მრისხანე სამაშულო (მეორე მსოფლიო) ომის წლებში, ბეჟან ნაკაიძე ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორია ოზურგეთის თეატრის მუშაობის განახლებისა, ამ დროს თეატრის მამაკაცი მსახიობები ფრონტზე იბრძოდნენ.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ბეჟან ნაკაიძე ოზურგეთის თეატრის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომელიც 20 წლის განმავლობაში იყო ოზურგეთის თეატრის დირექტორი. ადმინისტრაციული თანამდებობის მიუხედავად, ის პირველ ყოვლისა იყო მსახიობი და რეჟისორი.

ბეჟან ნაკაიძის ხელმძღვანელობის წლებს უკავშირდება 1958 და 1964 წლების წარმატებული გასტროლები დედაქალაქში. ოზურგეთელი თეატრალეების პირველი გასვლა თბილისში და მყურებლის მოჯადოება და თეატრალური კორიფების დიდი აღიარება. ბეჟან ნაკაიძემ ჩაუყარა საფუძველი ოზურგეთისა და მოსკოვის მცირე სამხატვრო თეატრების მეგობრობას და პირველი კორპორატივიც კი შექმნა სპექტაკლით „მე ვხედავ მზეს“, სადაც ოზურგეთელებთან ერთად მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობი, ვიტალი ღორონინი თამაშობდა.

თეატრში ბატონი ბეჟანის შეახებ მხოლოდ კარვს ვაიგონებთ:

ჯემალ კვცამაძე, მსახიობი:

— ბეჟან ნაკაიძე — ეს არის ძალიან მოსაფერებელი სახელი და გვარი, იგი იყო ძალიან დიდი პირო-

ვნება... ძალიან დიდი... დიდი ქართველი, ხელოვანი, შესანიშნავი მსახიობი, მისი შესრულებული როლები იყო ბუნებრივი და დამაჯერებელი, ბეჟანი თეატრის დირექტორი იყო, სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი, მსახიობი... თეატრზე შეყვარებული, თეატრის კაცი იყო...

არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი მისვლა თეატრში. 18 წლის ვიყავი, მაშინ თეატრი იყო იქ, სადაც ახლა იუსტიციის სახლია. 1958 წელია. შევედი დირექტორთან კაბინეტში და ვუთხარი: — თეატრში მინდა მუშაობის დაწყება. დაკვირვებით შემომხედა და მკითხა - რა შეგიძლიათ? - ვმღერი, ლექსებს ვკითხულობ, ვცეკვავ-მეთქი. მის თხოვნაზე ვიმღერე რაც სულ მესმოდა: „ორაილოდა, იქეთ ნუში, აქეთ ნუში, შუაში ფარდა ჩამოვუშვი, ძია სტალინ, გეხვეწები, ჩემი მამა გამოუშვი.“ მკითხა: — მამაშენი სად არის? — ომიდან არ დაბრუნებულა-მეთქი. მცირე პაუზის შემდეგ მომაწოდა ფურცელი და კალამი, — დამიწერე განცხადება და იმ დღიდან დღემდე თეატრის მსახიობი ვარ.

როგორც რეჟისორი, განსაკუთრებული იყო, რეპეტიციებზეც სასწაული პიროვნება... მასთან სპექტაკლში მთავარი როლი მაქვს შესრულებული, ვიტარაზეც მღეროდა ჩემი პერსონაჟები... პირველი როლიც ბეჟანის სპექტაკლში მქონდა. ვკანკალებდი მღელვარებისგან... როგორც დირექტორი, ძალიან მომთხოვნი იყო. იდეალური დისციპლინა ჰქონდა თეატრში, ბეჟანი რომ გამოჩნდებოდა თეატრის ტერიტორიაზე, ყველაფერი ჩერდებოდა. ყველა ელოდა მას...

სხვების მონათხრობით მასსოვს, რომ ბეჟანი რაიკომის სხდომაზე თოვლჭყაპასა და სიცივეში პალტოს გარეშე მისულა. ვაკვირვებულები ხალხის შეკითხვაზე უპასუხნია: — კალენდარი კი მაქვს, მაგრამ ჩასაცმელი არ მაქვს... შესაძლოა ეს ერთგვარი ირიბი თხოვნა იყო თეატრის დაფინანსების გაზრდაზე, ჩვენთან ხელფასებზე სულ ვაჭკრებდა იყო. ზუსტად არ ვიცი.

დღეს რომ თეატრი არსებობს, ეს არის ბეჟანის ძალიან დიდი დამსახურება. ბეჟანი ბრწყინვალე უძღვებოდა თეატრს. იცოდა სად, როგორ, ვისთან, რანაირად... ჩემს მეხსიერებაში არასოდეს წაიშლება ბეჟან ნაკაიძე, არასოდეს დამავიწყდება. სასწაული კაცი მაგარი კაცი, ბრწყინვალე ქართველი.

ომარ ურუშაძე, მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი: - მე რომ თეატრში მოვედი, 1966 წლის ბოლო იყო, თეატრის დირექტორი იყო ბეჟანი, მან მიმიღო მსახიობად, მცირე გამოსაცდელი ვადის შემდეგ. ასეთი დირექტორი საქართველოში არ ყოფილა. ეს იყო დიდებული დირექტორი. თანამშრომლის ნიჭს და საქმეს პატივს სცემდა... ხელოვნებას პატივს სცემდა, ხელოვანს ერთ გრამს არ დაუკარგავდა, პირადი განწყობით და ურთიერთობით არ ხელმძღვანელობდა შეფასებისას. მსახიობებთან საჭირო დისტანციაც ჰქონდა და სიახლოვეც. დიდებული ადამიანი იყო, თვითონ პიროვნება, ხელოვანი იყო დიდი... მის დროს თეატრში იყო სიწმინდე, სილ-

ამაზე, ხელოვნება... „რაც ვინახავს ვეღარ ნახავს“ დგამდა და კოსტაიას ვთამაშობდი მე. 17 წლის ვიყავი. ამოვიდა ბეჟანი სცენაზე პრემიერის მერე, ხელი ჩამომართვა, მომილოცა, მითხრა: — შენ იქნები კაი წვერი, კაი მსახიობი ჩვენთანო.

ბეჟანი, როგორც რეჟისორი, საუკეთესო სპექტაკლებს დგამდა, როგორც მსახიობი, სცენაზე იყო „მხეცი“, „კიკვიძეს“ თამაშობდა არაჩვეულებრივად. მე არ მინახია, ვერ მოვუსწარი მაშინ. კარგა ხანს იყო ოზურგეთის თეატრის დირექტორი. დირექტორი მაგი იყო. კი არ თამაშობდა დირექტორობას, იცოდა ვინ, როგორ... არ აპატიებდა არაფერს ვინმეს და არც დაუკარგავდა კაი თუ ჰქონდა რამე. ვიმეორებ, დიდებული დირექტორი იყო, საქართველოში მსგავსი დირექტორი არ ყოფილა.

გასტროლებზე ვიყავით ჩვენ, როცა მას გულმა დაარტყა და ჩამოვედით და აღარ იყო უკვე... აცხონა ღმერთმა... მე მან დამაყენა ფეხზე, მან გამხადა მსახიობი, რასაც წარმოვადგენ, ეს მაყურებელმა იცის, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მე გამზარდა ბეჟან ნაკაიძემ, დიდებული ადამიანმა და იშვიათმა, განუმეორებელმა დირექტორმა.

ვასილ ჩიგოგიძე, ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე: — ბეჟან ნაკაიძე, ეს სახელი და გვარი ჩემთვის ყველაზე აღმატებული გახლავთ, ვინაიდან მისი ამაგი, სითბო, დარიგება იყო და არის დაუვიწყარი ჩემთვის. თამამდ შემიძლია ვთქვა, რომ ის ისე ზრუნავდა ჩემზე, როგორც მშობელი იზრუნებდა საკუთარ შვილზე. მასთან ძალიან ბევრი კარგი პირადი მოგონება მაკავშირებს. სრულიად პატარა გახლდით, ჩემს მშობლებს სივთქმდე უყვარდათ თეატრი, ბატონ ბეჟანს კი როგორც თეატრის დირექტორს, აკრძალული ჰქონდა ბავშვების საღამოს სპექტაკლებზე დასწრება. თუმცა მან მხოლოდ ჩემთვის დაუშვა გამონაკლისი და ნებას მრთავდა სპეციალურად ჩემთვის გამოყოფილ ადგილზე, იარუსზე ვმჯდარიყავი და სპექტაკლებისთვის მეყურებინა.

ცოტა მოგვიანებით, უკვე მეთექვსმეტე კლასის მოსწავლე, მიხეილ გოლ-



ვ. დარასელი „კიკვიძე“ რეჟ. და მსახიობი ბ. ნაკაიძე

აიძისა და რეჟისორ გურამ აბესაძის რეკომენდაციით თეატრში ბატონმა ბეჟანმა მიმიღო და მწვებ მსახიობად. დაუვიწყარი იყო პირველი როლიც „რევიზორში“, სადაც მუნჯის როლს ვასრულებდი. აღნიშნული სპექტაკლის შემდეგ ბატონმა ბეჟანმა ბატონ გურამ აბესაძესთან შეთანხმებით ფაქტობრივად ნელ - ნელა დაიწყო ჩემი მომზადება სარეჟისორო ფაქულტეტზე ჩასაბარებლად. კარგად მასწავლეს, როგორ ამბობდა - ოზურგეთის თეატრს დრამის რეჟისორი არ ჰყავს და შენ ჩემო ვასო, აუცილებლად რეჟისორი უნდა გამოხვიდეო.

სადიპლომო სპექტაკლის გასაკეთებლად როცა ჩამოვედი, ბატონი ბეჟანი აღარ იყო თეატრის დირექტორი, მისი ცული ჯანმრთელობის გამო. ის 20 წელზე მეტხანს ხელმძღვანელობდა ოზურგეთის თეატრს, როგორც დირექტორი. 1952 წლიდან რაც თბილისიდან დაბრუნდა, სადაც ის იყო მოზარდ მაყურებელთა თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი, ოზურგეთის თეატრს ჩაუდგა სათავეში.

ჩემი სადიპლომო სპექტაკლის შუკშინის „ენერგიული ადამიანები“ მომზადების შემდეგ, როდესაც აფიშმა გაიკრა და რეპეტიცია დასრულდა, ბატონი ბეჟანი სააფიშო დაფასთან მელიდებოდა და ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომეფერა, გამამხნევა, სტიმული მომცა და როგორი ბედნიერი იყო თავად. აქვე მინდა დავძინო, რომ მე მსგავსი მოწესრიგებული, დისციპლინირებული არავინ მაგონდება. მკაცრიო დღეს ამბობენ, მაგრამ სწორედ ეს არის ის სავალდებულო

სიმკაცრე, რომლითაც საათივით ჰქონდა ყველაფერი აწყობილი. შემდეგ როდესაც უკვე მე გავხდი ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სულ ვვიჭრობდი მიზეზად მისთვის და ვყოფილიყავი ისეთი ხელმძღვანელი, როგორც ის იყო.

სამწუხაროა, რომ იგი ძალიან ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან და ბევრი დიადი და კეთილი საქმე დარჩა გასაკეთებელი. ნამდვილად დაუვიწყარი დეკადები ჰქონდა თბილისში, ამას გარდა მე ის ვაეციანი, როგორც მსახიობი. ბრწყინვალე „კიკვიძე“ იყო, საუკეთესოდ ასრულებდა ამ როლს, მართალია მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი, მაგრამ არასდროს არ დამავიწყდება მისი „კიკვიძე“ და კიდევ ერთხელ სიამაყით ვაცხადებ, რომ ის გახლდათ ჩემი პირველი აღმზრდელი და პედაგოგი.

ვასილ კიკნაძე, თეატრმცოდნე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე წერდა: „ღრმა აზრით, შემოქმედებითი გატაცებით, სხვის ბედნიერებაზე ზრუნვით იყო შთაგონებული ბეჟან ნაკაიძის სიცოცხლე. ვერც სიკვდილმა წაართვა მის სახელს აზრი, ამიტომ არის, რომ იგი ახსოვთ თეატრში, იგი ცოცხლობს ხალხის გულებში“.

ეს ასეა დღესაც. ბეჟან ნაკაიძის, საქართველოს დამსახურებული არტისტის ნაღვალს თეატრსა და საზოგადოებაში, მისი ურთიერთობები და კვალი ნათელი, მისი დაბადებიდან 100 წლის შემდეგაც აქტუალური, სამაგალითო და საამაყოა.



დასი, XX საუკუნის 60-იანი წლები, თეატრის დირექტორი ბეჟან ნაკაიძე, მთავარი რეჟისორი გურამ აბესაძე.

ილია და გურულები

სტატიაში ვკითხულობთ:
 „თუ რამდენადაა გაღვივებული გაზეთი „დროებაში“ მთავრობის საწინააღმდეგო სული და მანვე მიმართულება, კარგად ჩანს იმ სტატიების ჩამოთვლით, რომლებიც მომეტა კავკასიის საკენზურო კომიტეტმა და რომლებიც სხვადასხვა დროს წარდგენილი იყო ამ გაზეთში გამოსაქვეყნებლად, მაგრამ ცენზურის მიერ არ იყო დაშვებული:

ა. სახელწოდებით: „რა დროს ბოდიშია“, მიმართულია ქართველ თავადაზნაურთა გასაღიზიანებლად გლეხთა ფენების წინააღმდეგ.

ბ. სეპარატისტული ხასიათის მოწინავე წერილი, რომელიც მოუწოდებს, რომ ხელები ჩასჭიდონ ერთმანეთს.

გ. ლექსი სათაურით „ქალწულს“, სადაც რუსეთი წარმოდგენილია ჩრდილოეთის ცივი ქალწულის სახით, რომელსაც წინადადება ეძლევა ჩამოშორდეს, მოსცილდეს ჩვენს ქვეყანას (საქართველოს).

დ. ვარსკვლავებით აღნიშნული ლექსი მოუწოდებს ქართველ ხალხს აჯანყებისაკენ.

ე. მოწინავე წერილი ყველაფერი ქართულის აუცილებელი შესწავლის შესახებ, რათა აღდგეს ეროვნულობა.

ვ. სტატია „შეერთებული ქვეყნების მმართველობის სხვადასხვა სისტემა“, მიმართული მთავრობის წინააღმდეგ საქართველოსთან ურთიერთობაში.

ზ. ლექსი „მწყემსი“, რომელშიც ურიგოდაა აღწერილი მეფე და მისი ქვეშევრდომები.

ი. სიმღერა: „ვინა სთქვა საქართველოზე, რომ ეს ლომის ბოკვერი უკვე კვდება“, მოუწოდებს ყველას შეერთებისა და მტრის წინააღმდეგ იარაღის ასხმისაკენ.

ი. სტატია: „გორის მაზრის სატრაპები“, ურიგოდაა აღწერილი მაზრის უფროსის და მისი ქვეშევრდომი მოხელეების მოქმედება.

სიმართლე ვითხრათ არცთუ დიდხანს იძიების შემდეგ ვერც „მაზრის უფროსის და მისი ქვეშევრდომი მოხელეების მოქმედებას“ გავეცანი და ვერც ზემოჩამოთვლილ სხვა სტატიებსა და ლექსებს.

ვერცაგნობილებს შორისა სიმღერა „ვინა სთქვა საქართველოზე, რომ ეს ლომის ბოკვერი უკვე კვდება“, რომელიც ივანე მაჩაბელს უნდა ეკუთვნოდეს (იხ. სტატიის ეპიგრაფი), თუმცა, ერთი „ძალიან მაგარი“ ლექსი, რომ არ გამსხენებოდა, შეუძლებელი იყო.

ლექსის ავტორი, **ბაჩანა რაზიკაშვილი**. ლექსს სრულად არა, მაგრამ დასაწყისს აუცილებლად შევასხენებ მკითხველს:

„ვინა სთქვა საქართველოზე,
 „ვგ არის ლომი კვდებაო,
 ჩაუხდა ბედის ვარსკვლავი,
 მალე მზეც გაუქრებაო,
 თავს დასტრიალებს ყორანს,
 დასწავის ზედიზედაო?!“
 თვალთამც დაპზარვენ ყორანს,
 გამაგრდი, ქართველის დედაო!
 ბევრმა გვიქადა კვლავაცა,
 ბევრმა იუბნა ესაო,
 ბევრმა გვიკრიჭა კბილები,
 ჩუმად ფრანგული ლესაო.
 ცუდად წაუხდათ ქაღილი,
 ვერას გამოპრჩინენ ვეფხესაო,
 ლეკვები წამოეზარდნენ,
 მტრებზედ ილესენ ბწყლებსაო...“

დარწმუნებული ვარ, მკითხველს არ გამორჩენია ვეფხვის არა, მაგრამ მაინც, ბრწყვალები.

ბაჩანა ამ დროს ლამის 20 წლისაა და დანამდვილებით ვიცით, უკვე გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ლექსი, მათ შორის, რაც ახლა მახსენდება, „მუხა“ და „სიმღერა, მაგრამ რასაც ვერაფრით „გავისხენებ“ არის პასუხი კითხვაზე: ნეტა, სად გაეცნო ბატონი ბაჩანა ივანე მაჩაბლის ცენზურის აკრძალულ ლექსს?!

დამეთანხმეთ, კითხვა საინტერესოა, თუმცა, პასუხი არც „გუგუელში“ არსად ჩანს, არც ეროვნული ბიბლიოთეკის ელბაზებსა და

გაზრდამება, დასაწყისი
 „ალიონი“ №24-29

კოლექციებში და სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში ვერც გავიგებ და არც მეცოდინება. სულ სხვა ცოდნა მაქვს, ზემოხსენებული სტატიის დახმარებით და თქვენც გიზიარებთ:

„ვიორგი ქართველიშვილი, ივანე მაჩაბელი და ილია ჭავჭავაძე ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველოს სახელზე 22 აგვისტოს შედიან განცხადებით, რომ რედაქტორად დანიშნონ ყოველთვიური ქართული ჟურნალის „ივერიის“ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე. მაგრამ რუსი მოხელეებისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ „დროების“ და „ივერიის“ ტონი და მიმართულება ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდა. მარ-თებულად წერს ვახტანგ ჭელიძე ნაშრომში „ცხოვრება ივანე მაჩაბლის“ (გვ. 154), რომ „იმ წლებში „ივერიას“ და „დროებაში“ გამოქვეყნებულ ბევრ წერილს, ხელმოწერას თუ არ დახედავ ან, მითუმეტეს, თუკი სულაც არა აქვს გვარი მოწერილი, ვერც ვაარჩევ - ილიას ეკუთვნის, თუ მაჩაბელს. ივანე მაჩაბელმა ერთბაშად შეითვისა ილიას წერის მანერაც კი. მისი წერილებიც გამოიჩვენებინა პირდაპირობით, გაბედულობით, სამართლიან-ობით, დაუნდობლობამდე მისული მოურიდებლობით“. ეს ყველაფერი კარგად იყო ცნობილი მათთვის, ვისაც ჯერ არს“...

კიდევ ერთი გურული გავისხენე ამჯერაზე – მწერალი, მთარგმნელი, რედაქტორი, გამოცემელი, რომ იტყვიან უბრალოდ, „მაგარი კაცი“ (სულ რომ არაფერი იცოდეს მის შესახებ ნათქვამის სისწორეში მხოლოდ „ანდერძი“ დაგარწმუნებს!), რომ იცოდეთ, როგორ მიჯრით და სიამოვნებით წაიკითხეთ „ქართლის ქრონიკების“ 4 ტომი და „ცხოვრება ივანე მაჩაბლის“, 1988 წელს!) **ვახტანგ ჭელიძე** და ვისაც კიდევ ბევრჯერ გავისხენებ "ჩემი ილიას" წერისას, განსაკუთრებით თუ ვაგებდე და ილია და ივანე მაჩაბლის ურთიერთობას შევხე.

ჰო, მხოლოდ შევხე და არა, მიმოვიხილე...

შესაშური მოთმინება გაქვს, გაზეთ „ალიონის“ მკითხველო...

ამდენი ხანია „მკითხულობ“, ეი მისმენ და მშვიდად ელოდები როდის გამცნობ, თუ რა კავშირი აქვს უკვე ნათქვამს „ილია და გურულებს“ ურთიერთობასთან.

აქვს და დარწმუნებული ვარ, შენც არ გეპარება ამაში ეჭვი: განა მიუხედავად არც თუ თანმიმდევრული თხრობისა მთავარ სათქმელს (ლირიკულ და არც თუ ლირიკულ გადახვევები რომ იქნებოდა, განა წინასწარ არ გააფრთხილებ? ორი „განა! რა ამბავიაო თუ გაიფიქრე გიბოდიშებ, რა ექნა, დიდ მცდელობა დამჭირდა, ვიდრე ასე უსუალოდ მომეძარტა შენთვის... მოკლედ, მგონი მოვახერხე და შევძელი ამ ბოლო დროს ზუსტად ისე ვწერ, როგორც ვლაპარაკობ“) თუნდაც ერთხელ ავუარე გვერდი?!

არა, და არც ახლა ვაპირებ, მენდე! „დროების“ დახურვის კიდევ ერთ და ჩემი აზრით, არც თუ უმნიშვნელო მიზეზს გაგახსენებ/გაგაცნობ და ყველაფერს უჩემოდაც მიხვდები!

ილია ჭყონიას სტატია („გურიის ცხოვრებები“). (გაზეთი „დროება“, 1885. 3 ივლისი. 140). უნდა გაგახსენო გაზეთ „ალიონის“ მკითხველო.

გახსენება ქალბატონ ნელის სტატიაშიც შეიძლება და თავად „დროების“ მითითებულ ნომერშიც, თუმცა, მინდა, როგორც უკვე მრავალჯერ, გთხოვ, თუ დაგაინტერესდი ეროვნული ბიბლიოთეკის „მამარდაშვილის ციფრული კოლექციები“ გაეცანი შესაბამის ბმულზე (<http://www-nplg.gov.ge-greenstone3/library/collection/ilia/document/HASH6087a2318e2ddd9fe135b?p.s=TextQuery>), მიზეზი ერთადერთია, დიდი შრომა გვაქვს ჩადებული მე და ჩემ რამდენიმე კოლეგას „მამარდაშვილის კოლექციის“ ახალი სიცოცხლისთვის და მინდა ბევრმა გაეცნოს!

რას ვიზამ, მეც ადამიანი ვარ და მეც

ნებისმიერი ადამიანივით მჭირდება მოტივირება ანუ ზომიერად შექება!

... და ვიდრე ჩემი მოტივირებისთვის (შექებაზე, მეორედ ენას როგორ დავძრავ?! შესაბამის სიტყვებს ეძებ მე „გურიის ცხოვრებებიდან“ ერთ აბზაცს მოვიტან ჭაშნიკად:

„იქ სადაც გურიის ტურფა მთა-მინდვრებზე მწვანე ნაპირებთ შორის ვეფხვივით მოხტის ქვებიდან ქვებზე ანკარა ბუჯვი (ვახუშტის „ხინოს წყალი“) და მას სამხრეთის გორიდან ზვაობით დასცქერს მედიდური მონასტერი შემოქმედისა, ე. ი. მონასტრისავე სახელით წოდებულს სოფელს შემოქმედში მოხდა იმგვარი შემთხვევა, რომელსაც საშუალო საუკუნეთა ისტორიაში უნდა ჰქონოდა ადგილი და არა მეცხრამეტე საუკუნის დამლევის გაზეთის სვეტებზე. ერთ მშვენიერს ივანობისთვის დილას ცხრა წლის „ვაუპუტუნული“. მაგრამ „ვაშლლოყებანი“, შვეთვალწარბა და თეთრ - წითური გლეხის ვაჟი ტყეში შევიდა ფიჩხის „მოსახიკად“ (შესაგროვებლად), მოხიკა შეაგროვა) კიდევ, ერთს ადგილს დაავროვა და მერმე ... მერმე კაცმა არ იცის, სად წავიდა სადაური, სად „აღფხვრა საით ძირი“

აი, აქ არალირიკულად უნდა გადავუხვიო და ერთი ჩემი საყვარელი ლექსი გავისხენო. კი არ ვიცი რამდენად მართებული ქმედებაა, მაგრამ გამახსენდა, თქვენთვის გაზიარების სურვილმა იმძლავრა და, მამაჩემის არ იყოს „ასე პატარა სურვილზე უარი რავა უნდა ვთქვა?!

ლექსი იმდენად ცნობილია, ავტორის დასახელებაც არ უნდა, მაგრამ პატივი უნდა ვცე და დავასახელო - არჩილ სულაკაური მართლა მაგრად მიყვარს ეს ლექსი!

ზეპირადაც ვიცოდი ერთ დროს და ოთხიოდე აკორდიც მიმიშველებია წაღრინებისას...

განსაკუთრებით, აი ეს ორი ადგილი მიყვარს სერ არსენიანული ლექსიდან...

„სადაური სად გაფრინდა,
 ვის ცერზე ზის ტიალი,
 ვის შეუდგა და ვის ასმევს
 შარბათს ოქროს ფიალით?“

და „ახლა სხვასაც დაესიზმროს
 სიყვარულის სიზმარი

და განეხენეს ერთხელ სხვასაც
 კარნი სამოთხისანი!“

... და რადგან ჩემი მოტივირებისთვის შესაბამის სიტყვები ნაპოვია, შეწყვეტილ (არა სიმღერას“) ამონარიდს ვაგრძელებ:

„იციან მხოლოდ, რომ ცას არ აუტაცნია, ქვესკნელს არ ჩაუყლაპავს, წყალს არ წაუღია და ნადირს არ შეუჭამია. ის ერთი ხმა, რომელსაც ერისას უწოდებენ და ღვთისას უდრიან, ასე მოგახსენებთ, რომ იგი ტყვედ გაჰყიდეს! ტყვედ თუ გაჰყიდეს, მაშინ არ იქნება გასაკვირველი, თუ რატომ ვერ მიაკვლია ამ საარაკო შემთხვევის მსხვერპლის კვალს ადგილობრივმა გამგებამ: ამგვარ შემთხვევაში თავდაპირველ გამოსადიებლად ლეკოკია საჭირო და არა ყბაში ტყაპასანის წყალობით წინ წაწეული ...“

„ყბაში ტყაპასანის წყალობით“ არა, მაგრამ ჩვენც წავიწვიოთ წინ...

თავად ილია ჭყონიას მოსაზრება მინდა გაგაცნოთ „დროების“ დახურვასთან დაკავშირებით, რისთვისაც ჟურნალ "მნათობში" (ჟურნალი მნათობი 8-9 აგვისტო-სექტემბერი 1928) გამოქვეყნებული სტატიის „ჩემი დღე და სოფელი“ გახსენება მოგიწევს.

„1885 წ. მთავარმართებლის დონდუკოვკორსაკოვის მიზეზით დახურეს გაზეთი „დროება“ და მით მარჯვენა ხელი მოჰკვეთეს ივ. მაჩაბლის გავლენას და მოღვაწეობას. - უშუალო მიზეზი გაზეთის დახურვისა იყო ორი ფელეტონი: ერთი თვით ივ. მაჩაბლის და მეორე ამ პწკარების დამწერის. - პირველში მაშინდელი მეფის ნაცვალის დონდუკოვკორსაკოვი ღლით და ხშირათ პროვინციებში საქეთოთ მიმოსვლის მოყვარული ალგორი-



ულად გამოყვანილი იყო დათვად, რომელიც ეწვევა შუა ბაზარს, სადაც შეივლის თავლის კასრებით სავსე ბინებში, სტეხს კასრებს და სვლავს თავლს რამდენსაც შესძლებს.

მეორე ფელეტონში გამოყვანილი იყო ოზურგეთის პოლიცია—მაზრის უფროსი—ხოჯად, ხოლო მისი პრისტავი — მოლად.

- პირველმა ალაპარაკა მთელი ტფილისი და შემდეგ მთელი საქართველოც, ხოლო მეორემ ოზურგეთი გურიანად“.

არამონია უინტერესო იყოს ამ ფელეტონის შესახებ ვახტანგ ჭელიძის აზრი.

ბატონი ვახტანგი მონოგრაფიაში „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“: „3 ივლისის ნომერში დაიბეჭდა ილია ჭყონიას ზემოთ ნახსენები ფელეტონი, „გურიის ცხოვრებიდან“, რომელშიაც გამოყვანილი იყო მექრთამე და ხალხის შემავიწროებელი ხოჯა და მოლა. ოზურგეთის მაზრის უფროსმა ვირუბოვმა ხოჯაში თავისი თავი იცნო და მაშინვე იჩივლა. სასამართლოშიაც აღძრა საქმე და მთავრობასაც მიმართა. ეს პატარა, არცთუ ისე მახვილგონივრულად დაწერილი ფელეტონი გახდა „დროების“ დახურვის ერთ-ერთი უშუალო საბაბი. მეორე საბაბი იყო თვით მაჩაბლის ფელეტონი, რომელშიაც ალგორიულად ღლით მთავარმართებელი დუნდუკოვკორსაკოვი იყო გამოყვანილი“...

და რამდენიმე აბზაცის ზემოთ - „გაზეთის ერთ ნომერში, ილია ჭყონიას ფელეტონში, ალგორიულად გამახსარავებელი იყო ოზურგეთის მაზრის უფროსი. სხვათა შორის, ეს ფელეტონი ერთ-ერთი საბაბი გახდა „დროების“ დახურვისა. წერილმა დიდი გამოხმაურება და აყვალ-მაყალი გამოიწვია. მაზრის უფროსმა სასამართლოში იჩივლა და მთავარმართებელსაც სთხოვა გამოსარჩლება. დაიწყეს გამოძიება, მოითხოვნდნენ ფელეტონის ავტორს, რათა შური ეძიათ მასზე.

ერთი კერძო წერილით ვკებულობთ, რომ ივანე მაჩაბელმა ფელეტონის ნამდვილი ავტორი არ დაასახელა და თვითონვე იკისრა ავტორობა. რედაქციის ერთ-ერთ თანამშრომელს იგი წერს: „ჭყონიას წერილი მიეწერე და ვაცნობე, რომ საჭირო არ არის ვინმემ იკისროს ფელეტონის ავტორობა. მე თვითონ ვიკისრებ

ასეთი კეთილშობილი ბუნებისა და სამართლიანობისათვის მაჩაბელი ძალიან უყვარდათ რედაქციის თანამშრომლებს“.

რაც შეეხება ილია ჭყონიას ბიოგრაფიას, დაინტერესებული მკითხველი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიოგრაფიული ლექსიკონიდან და ვიკინციკლოპედია „ბიბლიოვიკიდან“ გაეცნობა.

საინტერესო ბიოგრაფიის კაცია, მენდეთ!

გიო პილაძე
 (ბაბრძელებსა შვიდმეც
 ნომერში)

სულთანა

ჯემალ ღობორჯიანიის ხსოვნას

გარდაიცვალა ცნობილი პოეტი, შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატი, საქართველოს მწერალთა კავშირის გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე, **ჯემალ ღობორჯიანი**.



დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში.

დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი.

იმსახურა ჯარში, ათი წელი იმუშავა ლეიტენანტის ჩინით მილიციის ბავშვთა ოთახის ინსპექტორად; თერაპეტი წელი მამათის კულტურის სახლის დირექტორად, ათი წელი ამავე კულტურის სახლის ხალხური შემოქმედების განყოფილების გამგედ. მუშაობდა ქ. ლანჩხუთში ვ. წულაძის სახელობის თეატრისა და კინოს მუზეუმში მეცნიერ მუშაკად; მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ 1961 წელს.

გამოცემული ჰქონდა ლექსების კრებულები: „გვირილა“, „შავი შაშვი ჩიოდა“, „ის გორა“, „ჭიპიტო და ჭაბიტო“, (2-ჯერ), „დედულეთის ზაფხული“, „ის გორიდან მოვიდვარ“, „აკესოს წიგნი“, „ალსარებები და საგალობლები უფლისადაში“. იყო

12 წიგნის ავტორი; გამოცემული ჰქონდა არაერთი საბავშვო ლექსების კრებული. მონაწილეობდა საქართველოს რადიოს გადაცემებში. იყო საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

ცნობილი მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი, გაზეთ „ალიონის“ ყოფილი ლიტმუშაკი **გენრიეტა ქუთათელაძე** იხსენებს:

„გასული საუკუნის 60-იან წლებში **ჯემალ ღობორჯიანი** ხშირად სტუმრობდა, ოზურგეთში გაზეთის რედაქციას, აქვეყნებდა ლექსებს, მკითხველებიც ეხმარებოდნენ. ახ-

ლაც მახსოვს მისი ერთი ლექსის სტრიქონები:

„იმ დამეს ქარი, როგორც ის ქალი, ქმარი რომ მოუკლეს, ისე ჰკიოდა, ჭაღარა მთები გაშლილი თმებით, იდგნენ, მდინარე ცრემლად სცვიოდათ“...

იყავ ნათელში, პოეტო!“
ჯემალ ღობორჯიანიძეს არც შემდეგ შეუწყვეტია გაზეთ „ალიონთან“ ურთიერთობა და ათეული წლების მანძილზე მისი ლექსები, წერილები იბეჭდებოდა გაზეთის ფურცლებზე. ასეთივე ურთიერთობა აკავშირებდა მას ლანჩხუთის რაიონულ გაზეთთან, შემდგომ „ლანჩხუთი პლუსთან“ და „პო და არასთან.“ მონაწილეობდა რეგიონში გამართულ კულტურულ ღონისძიებებში.

იგი იყო ღვთისმშობლისა და პატიოსანი კაცი. მისი ინიციატივით 3 წლის წინ რეგიონის მწერლებისა და ჟურნალისტების მონაწილეობით ესტუმრნენ ისტორიულ ტაო-კლარჯეთს.

20 დეკემბერს 80 წელი შეუსრულდებოდა. ხსოვნა და არ დავიწყება ამ ქვეყნად.

გაზეთი „ალიონის“ რედაქცია

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი მწუხარებას გამოთქვამს შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატის, მწერალთა კავშირის გურიის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის, პოეტ **ჯემალ ღობორჯიანიის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია მწუხარებას გამოთქვამს პოეტის, საქართველოს მწერალთა კავშირის გურიის რეგიონული განყოფილების ხელმძღვანელის, მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრის, არაერთი კრებულის ავტორის **ჯემალ ღობორჯიანიის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გურიის რეგიონული ორგანიზაცია იუწყება ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ბატონ **ჯემალ ღობორჯიანიის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ლიტერატურული გურიას“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამ გაზეთის დამფუძნებლის, პოეტ **ჯემალ ღობორჯიანიის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

„არწივებმა“, „იუნკრები“ 71:7 დაამარცხეს



საქართველოს პირველობაში რაგბიში პირველი ლიგის გუნდებს შორის ოზურგეთის „არწივებმა“ მე-7 ტურის მატჩში „იუნკრები“ შინ მიიღეს და დიდი ანგარიშით 71:7 დაამარცხეს. ოზურგეთელთა 11 ლელო დადეს: ტუნი კორიმატატიანი -4 ლელო; თითო-თითო ლელო დადეს: ილიასონი გაბალაძე, ოთარ მჟავიამ, ზაურ ირემაძე, ლუნი რალარაძე, დავიან სვანაძე.

კვლავ ისახელა თავი სამოელმა მარვენ ფრედერქისმა. მის ანგარიშზეა 2 ლელო და 8 წარმატებული გარდასახვა, ანუ - 26 ქულა. „არწივების“ უშუალო მეტოქე თბილისის

„არმაში“ გათამაშების მე-3 ადგილოსანი სამცხე-ჯავახეთის „ტაო“ დაამარცხა 34:20.

7 ტურის შემდეგ „არწივები“ (7 მოგება, გატ./მიღ. 286:84, +202) 33 ქულით გათამაშებას კვლავ ლიდერობენ;

„არმაში“ ერთადერთი მარცხი აქვთ „არწივებთან“ და 30 ქულით კვალში უდგანან გათამაშების ლიდერს.

სხვა შეხვედრები ასე დასრულდა: „არმაში“-„გორი“ 73:7; „ვეფხვები“-„მათე“(ჭიათურა) 40:20; „ბაგრატი“-„ბორჯომი“ 47:10.

სიტყვას საქმედ აქცევდა და საქმეს სიტყვით აბვირბინებდა

16 ნოემბერს გენალი ტაკიძე 80 წლის გახდებოდა

1942 წლის 16 ნოემბერს ნატანბელი არტემ ტაკიძის ოჯახში გავარდნილმა თოფის ხმამ გაუის გაჩნა ამცნო სოფელს. იმ დღესგანდის ტაკიძე მოეწონა ამ ქვეყანას! დას, ქვეყანას, რამეთუ, შემდგომში, ამ სახელისა და გვარის სახელოვნად მატარებელი კაცის ნაღვაწი საგრძობლად გაცივდა სოფლის, რაიონის ფარგლებს და, თავისი კვალი ნათელით, უფრო მასშტაბურ ჩარჩოში განთავსდა.



ოზურგეთს არ უკვირს ყველა ადამიანური ღირსებით შემკული პიროვნებები, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ამ მოძვრო წერილის პერსონაჟი, ვისი ცხოვრებისეული არც ისე გრძელი გზა მისაბაძა თაობებისთვის. ქართულ ოჯახურ ტრადიციებზე აღზრდილი გენალი ტაკიძე სრულყოფილების განსახიერება იყო როგორც პირად, ოჯახურ, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ლიდერის საოცარი ალლო ჰქონდა და ამ თვისებით ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა. კარგად სწავლობდა. შეეძლო, ისეთ სპეციალობას დაუფლებოდა, დღეს-ქალაქისკენ რომ გაუკვალავდა გზას, მაგრამ სოფელი არჩია, ამტომაც ჩაირიცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ გახდა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი, და კიდევ უფრო განიმტკიცა ცოდნა აგრარულ მეცნიერებაში.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა მშობლიურ სოფელში ჯერ პარტიის მდიანად, შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ. ყველაზე დიდი ამაგი კი სოფელ მერეას დასლო, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე. კოლმეურნეობის დაშლის შემდეგ კი, მეგობრებთან ერთად, არანაკლებ უნარიანად შეუდგა ბიზნესსაქმიანობას.

ბოლომდე თავის ხალხთან იყო,

ხალხისთვის ირავებოდა და იხარავებოდა. გვერდზე არასოდეს გამდგარა. ჭირში ჭირისუფალი და ლხინში გვერდში მდგომი, ყოველთვის იქ აჩნდებოდა, სადაც სოფელს და მოსახლეობას სჭირდებოდა, საოცრად გრძობდა სოფლისა და ხალხის მაჯისცემას. დიდთან დიდი იყო და პატარასთან პატარა.

ნატანბელებსა და მერიელებს რომ ჰქონოთ, მაინც რით იყო გამორჩეული თავაკაცი გენალი ტაკიძე, გეტყვით, რომ ამ პაცს, უპირველესად, საოცარი მიზიდულობის ძალა ჰქონდა, ყოველგვარ სიტუაციაში შეეძლო სიტყვის საქმედ ქცევა და საქმის სიტყვით დაგვირგვინება. არ არსებობდა მისთვის გადადებული საქმე, რაც დღეს უნდა გაკეთებულიყო, იმას ხვალისთვის არ გადადებდა. იმასაც ამბობენ, დროს უსწრებდნენ გენალი ტაკიძე.

ბატონი გენალის მთელი ნაღვაწის ჩამოთვლა და ერთ წერილში თავმოყრა არ არის ადვილი საქმე. დიდ დროსა და არანაკლებ საგაზეთო ფართის მოთხოვნას, ამ ეტაპზე აღბათ, არც არის აუცილებელი, რადგან ეს ისეთი ნაღვაწია, რომელსაც ხალხის მესხიერებიდან ვერ წაშლი.

დიდი იყო ბატონი გენალის სამეგობრო წრეიგი ამყოფდა დათოიძეაშვილთან, ოური სიორიქისთან, გურამ ბურჭულაძისთან,

თამაზ გოგეშვილთან, გივი კომახიასთან, ოური ლომბაძისთან, ნიკოლა ბურჭულაძისთან, თამაზ სიორიქისთან, ომარ ჭანუყვაძისთან, ალ-ეკო ტულუშთან, ვანო ქუთათელაძისთან, აა სურგულაძისთან, თებერ ჩანჩაძისთან, ილო იმწკირველთან და სხვებთან და სხვებთან მეგობრობით. ჩამოთვლილთაგან უმეტესობა ხომ ოზურგეთის კოლორითა. ამ ხალხთან მეგობრობით გენალი ტაკიძეს არაერთი საქმე გაუკეთებია და არაერთი პრობლემა გადაუწყვეტია, ამ ხალხსაც, ბატონ გენალისთან ურთიერთობით, აზრთა გაცვლითა და საქმეში ერთობლივობით, ბევრი ურგათ ოზურგეთისა და ოზურგეთელებისთვის.

რომ არა საბედისწერო 1996 წელი, დღეს 80 წლისა გვეყოლებოდა გენალი ტაკიძე. 53 წლის ასაკში დაიღუპა ავტოავარიაში, ქალაქ სტამბოლთან ახლოს.

საბედნიეროდ, ტაკიძეების ოჯახში სიცოცხლე გრძელდება. მუდამ ციკო თავს დასტრიალებს თავის ჯალაბობას, რუღუნებით უგლის მუდლის სათლავს, ჩაუქრობილი საწილებით ნათელს ჰგუნს მის ხსოვნას; კვიცი გვარზე სტის და შვილები - გიორგი, გიორგი და თამარი ღირსეულად მიჰყვებიან მამის კვალს; შვილიშვილები - საბა, ნინო, ნიკოლოზი, მარიამი, ლუკა და ანი, რომლებიც მხოლოდ სურათებით იცნობენ ბატონ გენალი ტაკიძეს, ამყოფენ, რომ ასეთი ბაბუა ჰყავდათ!

გენალი ტაკიძეს, როგორც შეუდარებელ ორგანიზატორს, უნარიან ხელმძღვანელს, ცხოვრებაში ქართული ტრადიციების დამცველ და გამტარებელ კაცს, მართლად, პრინციპულ და სამართლიან პიროვნებას არასოდეს დაივიწყებს ოზურგეთი.

გაზეთი „ალიონის“ რედაქცია

ხსოვნის სანთლები

რამდენიმე თვეა შეწყდა ჩემი მეუღლის, **გიორგი წიტიანი** ამქვეყნიური ცხოვრება. მან აქტიური ცხოვრებით იცხოვრა, თბილისის საესტრადო-საციროკო სასწავლებელი დაამთავრა, მოღვაწეობდა აჭარაში, მსახიობ-ვოკალისტად. მღეროდა ანსამბლებში „დილა“, „ვერისი“, „რივერა“, „სახიონი“, „აბჯარი“.



მიღებული აქვს აჭარის კულტურის სოლისტის წოდება, უამრავი სიგელი.

4 წლისამ აღმოაჩინა საკუთარი თავი. ოზურგეთელებს ახსოვს მის მიერ შესრულებული ცნობილი სიმღერა „მე თბილისელი ბიჭი ვარ“, მქუხარე ოვაციები, ტაში.

საუკუნის სენმა შთანთქა მისი სიცოცხლე, წავიდა და უდიდესი ტკივილი დაგვიტოვა, რომელიც დიდხანს, ძალიან დიდხანს არ განელდება.

ნანი ზაქარიაძე, მეუღლე



იყიდება
იყიდება ბოხვაშურში კაკი-ტალური სახლი 200კვ.მ, 6000 კვ.მ ხეხილიანი ეზოთი, გაშენებულია თხილიც.
ტელეფონი 577-33-05-89
იკითხეთ ბიო

ხარაგაულის სახალხო თეატრის „დარისპანის გასაჭირი“ ოზურგეთში



ალიონი. ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა დავით კლდიაშვილის 160 წლის იუბილზე ოზურგეთში აღნიშნეს. მათ ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის სცენაზე დიდი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის უკვდავი კომედია „დარისპანის გასაჭირი“ წარმოადგინეს.

ხარაგაულელებმა ერთხელ კიდევ შეგვახსენეს მწერლის მიერ გულისმომკვლელი და სევდიანი სინამდვილით ასახული, უმწეო მდგომარეობაში ჩაჯარდნილი იმერელი აზნაურის ტრაგიკული სულ-

ისკვეთება. მართალია ტრაგიკული, მაგრამ მაინც ღიმილისმომგვრელი პიროვნებაა 4 გასათხოვარი ქალის მამა დარისპანი, რომელსაც კარდაკარ დაჰყავს თავისი უფროსი ქალიშვილი კაროფნა და უნიდავო სიამაყესა და უადგილო ტრაბახს არ იშლის.

რეჟისორ ირინა ჩხეიძეს საინტერესოდ აქვს გადაწყვეტილი სპექტაკლის რეჟისურა. ამასვე ვიტყვით მხატვრობაზეც. პროლოგში ბათუ კიკნაძეს საინტერესოდ გადაჰყავს მაცურებელი წარსულში და სცენაზე თანდათან ცოცხლდება ძველ ფოტოებზე ასახული კლდიაშვილის გმირები.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ირინა ჩხეიძე (მართა კვიციანიძისა), ლუიზა კიკნაძე (პელაგია საბელაშვილისა), ლია ჭიპაშვილი (ნატალია), ვასილ კიკნაძე (დარისპან ქარსიძე), მათა ბერაძე (კაროფნა), ნიკოლოზ დეკანოსიძე (ონისიძე მათარაძე), დავით ჭყვიძე (ოსიკო ხარებაძე); სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება – დავით კვირ-

იკაშვილი, ქორეოგრაფი – ზაზა ლურსმანაშვილი).

სპექტაკლის დასრულების შემდეგ თეატრის რეჟისორმა **ირინა ჩხეიძემ** მადლობა გადაუხადა ოზურგეთელებს, რომ გურიაში აღნიშნეს დიდი ქართველი მწერლის უკვდავი „დარისპანის გასაჭირი“, რომელიც საუკუნეზე მეტია არ ჩამოდის ქართული თეატრის სცენიდან.

სტუმრებს მიესალმნენ ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის დირექტორი **აეთანდილ სურგულაძე** და ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **ვასილ ჩიგვიძე**.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ ქალბატონი **ირინა ჩხეიძე** გაზეთ „ალიონს“ ესაუბრა.

– ხარაგაულის თეატრალური ცხოვრება გასული საუკუნის დამდეგიდან იღებს სათავეს. 30-იანი წლებიდან ხარაგაულში უკვე მუდმივი დასი არსებობდა, რომელსაც 1943-47 წლებში სახელმწიფო თეატრის სტატუსი ჰქონდა. 1959 წლიდან თეატრს სახალხო წოდე-

ბა მიენიჭა.

თეატრი საერთაშორისო ფესტივალების გრან-პრის მფლობელია, წარმატებით მართავს სპექტაკლებს, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ბოლო წლებში თეატრმა მონაწილეობა მიიღო თურქეთში და ლატვიაში გამართულ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებში, 2014 წელს ბელგიაში – ქ. ბრიუსელში.

2015 წელს იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე ხარაგაულის სახალხო თეატრის სპექტაკლმა „დარისპანის“ გასაჭირი“, ნომინაცია – „საუკეთესო ანსამბლური სპექტაკლი“ მოიპოვა. იმევე წელს გორში გამართულ საქართველოს სახალხო თეატრების ფესტივალზე ნომინაცია – „საუკეთესო რეჟისორული ნამუშევარი“ დაიმსახურა.

მინდა მადლობა გადავუხადო ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს და ხარაგაული მერიას ხელშეწყობისათვის – აღნიშნა ირინე ჩხეიძემ.

ტოლერანტობის დღე ნასაკირალში

დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლამ ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს უმსაპინძლა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების კუთხეები – ხელნაკეთი ნივთების, ტრადიციული კოსტიუმების, კოლეჯ „ჰორიზონტის“ და ოზურგეთის ტექნოპარკის ნამუშევრების გამოფენა და ტრადიციული კერძების პრეზენტაცია. ბავშვებისთვის გაიმართა სხვადასხვა სახალისო აქტივობები და ჩატარდა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ: ანსამბლი „შეიდაცა“, ნასაკირალის სკოლის საბავშვო სტუდია. ასევე, კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი, ჯუმბერ ღუნდუას სახელობის სახელმწიფო ანსამბლი „გურია“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი.

ღონისძიების მიზანი რელიგიურ-ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის შენარჩუნება, ერთმანეთის ურთიერთპატივისცემა და მშვიდობიანი თანაცხოვრება გახლდათ.

ტოლერანტობის დღე 1996 წლიდან გაეროს-ს გენერალური ასამბლეის ინიციატივით აღინიშნება.

სამეტაკლი „ნაცარქექია“ ლანჩხუთში



ლანჩხუთის კულტურის ცენტრში სპექტაკლის „ნაცარქექიას“ პრემიერა გაიმართა, რომელიც კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ეგნატე ნინოშვილის სახელობის თეატრმა წარმოადგინა.

ღონისძიებას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

უემოდგოგაა, უემოდგოგაა...

გასულ პარასკევს, ქ. ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღში (მენეჯერი მარიამ ლლონტი, მეთოდისტი ნაილი გრძელიძე), მზაობის ჯგუფმა „ცისარტყელა“ სამემოდგომო აქტივობა „უემოდგომა წლის საუკეთესო დრო“ გამართეს.

ბავშვებს, აღმზრდელ-პედაგოგებთან (ირმა ქუტიძე, თეა ტოროტაძე, ნათია გოგუაძე, ნათია ქურცუა) მოეწყო უემოდგომის კუთხეები, საკონცერტო დარბაზი. შემდეგ კი უემოდგომის გაცილების სცენა წარმოადგინეს. (ღიზინი ნანა კეკელიძე, მუსიკალური გაფორმება ნანა ქილიფთარი)

სამემოდგომო აქტივობებში მონაწილეობდნენ: ცოტნე ჯულაყიძე, ალუ-



ქსანდრე ჩხიკავაძე, ბექა კეკელიძე, გაბრიელ კეკელიძე, ანია თოფურია, დანიელ ასტოიანი, დავით სამსონია, გიორგი თოხაძე, ელენე გოთუა, დანიელ სვანიძე, ფიტალიკ შავიანი, ლია გოგუა, ნინო დარეჯანაშვილი, ქრისტინე საყვარელიძე, ელენე ჩხარტიშვილი, მათე გოგელიძე, გიორგი კარსანიძე, დავით ჩიხლაძე, ანა მისურაძე, გაბრიელ ნიკოლაიშვილი, ბარბარე ბუჭური, მარიამ ვაჩეჩილაძე, ალექსანდრე თოიძე, დომინიკა ონიანი, ნიტა ერაძე, სოფია ბაბლიძე, ანი გაბრელიანი, იოსებ პეტროსიანი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

<p>გზე, ღრუბელი +14+21</p> <p>21 ნოემბერი ორშაბათი</p>	<p>გზე, ღრუბელი +9+20</p> <p>22 ნოემბერი სამშაბათი</p>	<p>გზე, +11+17</p> <p>23 ნოემბერი ოთხშაბათი</p>	<p>გზე, ღრუბელი +10+17</p> <p>24 ნოემბერი ხუთშაბათი</p>	<p>წვიმა +8+16</p> <p>25 ნოემბერი პარასკევი</p>	<p>წვიმა +6+13</p> <p>26 ნოემბერი შაბათი</p>	<p>წვიმა +8+14</p> <p>27 ნოემბერი კვირა</p>
--	--	---	---	---	--	---